საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №196
2023 წლის 7 ივნისი

ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. „ფიზიკური პირის ქონების გადასახადის წლიური დეკლარაციის“ (დანართი №V-03) „ნაწილი V“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნაწილი V

დასაბეგრ ქონებაზე (გარდა მიწისა) ქონების გადასახადის გაანგარიშება

							ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ	
№	ქონების ტიპი	მდებარეობა	დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულება (ლარი)	შეღავათი	ღირებულება, რომელზეც არ ვრცელდება შეღავათი	საკუთრებაში/ სარგებლობაში/ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებობის პერიოდი (თვე)	გადასახადის განაკვეთი (%)	ქონების გადასახადი (ლარი)
1	2	3	4	5	6	7	8	9
	სულ							

შენიშვნა:

მონაცემები დასაბეგრი ქონების, მათ შორის, ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონების შესახებ, გარდა მიწისა, აისახება გასული საგადასახადო წლის მიხედვით.

დეკლარაციაში მოცემული მონაცემების უტყუარობას და სისრულეს ვადასტურებ:

გადასახადის გადამხდელის:

_____ _____

(ხელმოწერა) (თარიღი)

_____

გადამხდელის პირადი ნომერი გვერდი _____ “.

2. 91-ე მუხლის მე-7 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) მე-7 სვეტში: „საკუთრებაში/სარგებლობაში/ფაქტობრივ მფლობელობაში არსებობის პერიოდი (თვე)“ – მიეთითება საგადასახადო წლის განმავლობაში, ფიზიკური პირის საკუთრებაში/სარგებლობაში/ფაქტობრივ მფლობელობაში ან/და ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებული დასაბეგრი ქონების ფიზიკური პირის საკუთრებაში/სარგებლობაში/ფაქტობრივ მფლობელობაში არსებობის თვეების რაოდენობა.

შენიშვნა: ამ ქვეპუნქტის მიზნებისთვის, თვე ჩაითვლება სრულ თვედ, თუ ფიზიკურ პირს დაბეგვრის ობიექტი საკუთრებაში/სარგებლობაში/ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნია შესაბამისი თვის 15 რიცხვის მდგომარეობით. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული თვე მხედველობაში არ მიიღება.

ამასთან, თუ დასაბეგრი ქონების საკუთრებაში/სარგებლობაში/ფაქტობრივ მფლობელობაში გადაცემა მოხდება თვის 15 რიცხვში, ჩაითვლება, რომ დაბეგვრის ობიექტი მოცემულ თვეში საკუთრებაში/სარგებლობაში/ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნია ქონების მიმღებს;“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ლაშა ხუციშვილი**